

## რუსთაველის ეპოქის თეატრი

სანამ ძველი ქართული სახიობა — თვითმყოფადი სანახაობრივი კულტურა შეუსწავლელი იყო, ფიქრობდნენ, რომ საქართველოში თეატრი მეთვრამეტე საუკუნეში დაარსდაო. ახლა, როდესაც

საქართველოში საქართველოში მონათმფლობელური სახელმწიფოს არსებობიდან. თეატრალური ხელოვნების საწყის ფორმებს ძველ აღმოსავლურ სახელმწიფოთა თანამედროვე ძველ კოლხურ სამეფომდე მიეკუთვნება.

როგორც გარკვეულია, ძვ. წ. მეექვსე საუკუნეში, ახლანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე შექმნილი კოლხეთის სამეფო დაწინაურებული კულტურის ქვეყანა იყო. ბერძენი მწერლების მოწმობით, კოლხებს საკუთარი, უძველესი დამწერლობა ჰქონდათ. კოლხეთის ქალაქებში კოლხთა სულიერი და ფიზიკური აღზრდისათვის არსებობდნენ გიმნასიები, თეატრები და იბოდრომები. პროკოფი კესარიელის ცნობიდან, რასაც პირველად ს. ყაუხჩიშვილმა მიაქცია ყურადღება, ჩანს, რომ ახ. წ. მეექვსე საუკუნეში კოლხთა ქალაქის აფსარუს თეატრისა და იბოდრომისაგან მხოლოდ „ნაშენობათა საძირკველი“ ყოფილა დარჩენილი, რაც შორეული წარსულის ნანგრევებს წარმოადგენდნენ.

ანტიკური ხანის კოლხეთში თეატრის არსებობას არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. ქუთაისის მახლობლად, ვანში აღმოჩნდა ანტიკური ხანის თეატრალური ნიღბის მოდელო. თერჯოლაში ნაპოვნია კომიკური და ტრაგიკული ნიღბების გამოშვებული გემა, სოფ. ბორის ცნობილი ვანძიდან ყურადღებას იქცევს გემა, რაზედაც ბაკხ-დიონისეს საზეიმო მსვლელობა უნდა იყოს გამოხატული. ხელოვნების მუზეუმში ინახება სევანთიდან ჩამოტანილი კამეა ბაკხ-დიონისეს საზეიმო მსვლელობის სურს ფოთლების გვირგვინით შემკობილი მონაწილე. ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნია მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაების აგუნა ბაკხ-დიონისეს ქანდაკება. აქვე აღმოჩნდა ძველი ქართული კომედიის ქართულ სახილველში (თეატრში). სამღერელზე (სცენაზე) მოთამაშე მემღერეს (კომიკოსი მსახიობის) ქანდაკი. მემღერე გამოსახულია ქოსატყუილას (პოლიკას) ნიღაბში. ქოსატყუილა (მსახური) ანტიკური ხანის ქართულ-კოლხური სახილველის (თეატრის) ერთ-ერთი პერსონაჟი უნდა ყოფილიყო.

როგორც პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა ცხადყო, კოლხეთში ახ. წ. IV საუკუნეში არსებობდა რიტორიკული სკოლა, სადაც ალბათ იმართებოდა სასწავლო წარმოდგენები, ე. წ. კვილისტრები — თეატრალური შეჯიბრებანი. აქვე საგულისხმებელია აკრომატული შეჯიბრებანიც: მუსიკასა, მღერასა და მხატვრულ კითხვაში. კანონების შესწავლა მიმდინარეობდა თეატრალური გარდასახვით.

დამთავრებულთა გამოშვებისას, იმ დროს არსებული წესით, იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები.

პონტოს სამეფოში (ძვ. წ. IV ს.), რომლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართული წარმოშობისა იყო, ლუკიანეს მოწმობით არსებობდნენ თეატრები. აქ განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა ბაკური პანტომიმური წარმოდგენები. ლუკიანეს სიტყვით, ამ წარმოდგენებით იმდენად ვატაცებული იყვნენ „ადგილობრივი ხალხები, რომ დანიშნულ დროს ისინი ერთობლივ სუყველანი იფიწყებდნენ ყველა სხვა საქმეს და ისხდნენ თეატრში მთელი დღეები და უტყუარდნენ ტიტანებს, კორიბანტებს, სატირებს და ბუკოლებს“. ამისდა მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ პონტოს სამეფოში არსებული თეატრები ქართულ და მის მონათესავე მოსახლეობას ეკუთვნოდა.

პროფ. აკ. ურუშაძის გამოკვლევით („ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“) პონტოს თეატრებში კორიბანტების წარმოსახვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კორიბანტები, ბერძნული გადმოცემებით, ღვთაებათა დედის კვიბელეს (რომლის ქანდაკება აღმართული იყო კოლხეთის ქალაქ ფაზისის შესასვლელში) ქურთუშებია. სტრაბონის ცნობით, კორიბანტები, რომელთაც ძველი კოლხური დამწერლობის, კვირბების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან, კორიბანტებს მიეწერებათ მუსიკის რიტმის აღმოჩენაც (თბ., 1964, გვ. 162, 164).

ყოველივე ამისდა მიხედვით საფუძველი გვაქვს ვიგულისხმობთ, რომ კოლხეთის აფსარუს თეატრში კოლხი ტრაგიკოსი მსახიობები წარმოდგენდნენ როგორც ბერძნულ, ასევე, შესაძლებელია, ადგილობრივი აქტორების დრამატულ თხზულებებსაც; უკვე იბეჭდება გამოკვლევები, რომლის სათაურია: „რა საბუთი გვაქვს ვიგულისხმობთ ქართული ლიტერატურის ანტიკური პერიოდის არსებობა“. („ლიტერატურული გაზეთი“, 1962, № 45). პ. ბერაძემ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „ძველი ბერძნული დაქტილური პეგზამეტრების ქართული საწყისები“ (1949).

თეატრი არსებობდა ქართლის (იბერიის) სამეფოში, რომელიც ძვ. წ. III საუკუნეში შეიქმნა. სტრაბონს აღნიშნული აქვს, რომ „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე, რომ იქ არის კრამიტის სახურავები, არქიტექტურულად მოწყობილი სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებები“ (სტრაბონი, III, 1). აი, ამ საზოგადო დაწესებულებათა ნაგებობებს შორის სტრაბონი უნდა გულისხმობდეს თეატრის და იპოდრომის ნაგებობებს. შედარებით უფრო გვიანდელ ხანაშიაც საგულისხმებელია იბერიის ქალაქებში საზოგადოებრივი

შენობების არსებობა. 1938 წელს მცხეთის სამთავროს სამართავნაშე აღმოჩენილი წარწერიანი ქვის მიხედვით, ქალაქ მცხეთას ახ. წ. IV საუკუნეში ჰყავდა მხატვართა უხუცესი და ხელოვნობისაგან იყავნა აქოლისი. პროფ. შ. ამირანაშვილმა უფლისციხის კლდეში ნაკვეთ-ნაგებობათა ერთ-ერთი კომპლექსი ვლინისტური ხანის თეატრალური დანიშნულების შენობად მიიჩნია. უფლისციხის თეატრი მხედველობაში უნდა პტონდეს VI—VII საუკუნის ძეგლადს მომდინარე „წამება აბიბოს ნევრესილისას“ ავტორს, როცა წერს: „თეატრონი დიდი იქმნათ“ (დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, 1965, გვ. 125—128).

იბერიის სამეფოს ქალაქებში თეატრალური წარმოდგენების მოწყობას, თეატრების არსებობას მოწმობს არქეოლოგიური გათხრებიც: სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილს მცხეთაში აღმოჩნდა: გემები კომიკური და ტრაგიკული ნიღბების გამოსახულებით; ასპავრუგ პიტიაშვის სამარხში აღმოჩნდა კამეა, რომელზედაც გამოსახულია სუროს ფოთლების გვირგვინით თავმჯობილი მგნადა, კორიბანტი მევენახეობის და მეღვინეობის ღვთაების სადიდებელი დღესასწაულის მონაწილე; მცხეთაში აღმოჩენილია დიონისეს მხლებელ პანისა და სილენის გამომსახველი გემები; არმაზისხევის პიტიაშვათა სამაროვანის მეექვსე სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის პინაკი, რომლის ფსკერზე ვერცხლისავე მედალიონი აქვს დამაგრებული თხისტყაოსანი ქალის გამოსახულებით, ხელში სიუხვის ჭიხვის ყანწით, რაც აგრეთვე მოსავლიანობისა და ნაყოფიერების ღვთაების სადიდებელი დღესასწაულის მონაწილე კორიბანტის, მენადის გამომხატველი უნდა იყოს.

რაც მთავარია, მცხეთაში აღმოჩენილია ანტიკური ხანის თეატრალური წარმოდგენებისათვის აუცილებელი მენესტესის (ფლეიტის) ბრინჯაოს ქანდაკება და ბაკური პანტომიმური წარმოდგენისათვის დამახასიათებელი შიშველი მოცეკვე ქალის გამოსახულება სპილოს ძელის ფირფიტაზე (მ. ლორთქიფანიძე, საქართველონის სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, 1954, გვ. 15—16, 18; იგივე, II, გვ. 33, 34; მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, I, ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდიაძე, გ. ლომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937—1946 წლების გათხრების მიხედვით, თბ., 1955, გვ. 26, 188, ტაბ. I, XLV<sub>2</sub> სურ. მ; იქვე, გვ. 75, ტაბ. VIII, გ. ლომთათიძე, მცხეთის აკლამა, თბ., 1960; ლ. გვარამაძე, უძველესი ქართული რიტუალური ცეკვები, შურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1964; № 2, გვ. 49).

ქართული საისტორიო მწერლობაც მოწმობს იბერიაში თეატრისა და ტრაგიკოსთა (გლოვის მგოსნების) ხელოვნების არსებობას

ბას. ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა თავის საისტორიო თხზულებებში II საუკუნის ქართველ ტრაგიკოსთა შესახებ ცნობა და ძველ ქართულ ტრაგედიის ფრაგმენტი — კომოსი შემოგვინახა (დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, გვ. 128—152).

ქართული ენის ძეგლებში შემონახული ძველი ქართული ტერმინები მეტყველებენ, რომ საქართველოში ანტიკური თეატრალური კულტურის ათვისება საკუთარი თვითმყოფი კულტურის ნიადაგზე გადმონერგვით და თავისებური განვითარებით ხასიათდებოდა, რაც ქართული თეატრალური ტერმინების შექმნით არის აღბეჭდილი:

- სახილველი (სახილაგი) — თეატრი
  - ეზოას თეატრი — სასახლისკარის თეატრი
  - განსაცხრობელი — ორქესტრა, არენა
  - სამღერელი — სკენე
  - უბანი (მოედანი) — არენა, სტადიონი
  - მემღერე — აქტიორი
  - პარით მემღერე — მოცეკვავე
  - სიმღერით განმცხრობელი — მსახიობი მიმოსი
  - მრგვალის მომვლელი — ქოროს მონაწილე
  - სახიობა — მუსიკა, შემდეგში სინთეზური ხელოვნება, რომელიც აერთიანებდა პოეტურ სიტყვას, მუსიკას და ცეკვას
- |  |   |  |
|--|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>მახიობელი</li> <li>მსახიობელი</li> <li>მხედავი</li> <li>მოციხარი</li> <li>მეშეშპრე</li> </ul> | } | <ul style="list-style-type: none"> <li>სხედასხვა ქანის თეატრალური ხელოვნების მსახიობები</li> </ul> |
|--|---|--|

გლოვის მგოსანი — ტრაგიკოსი  
 სიმღერისმწერალი — კომედიოგრაფი

როგორც სამართლიანად შენიშნული აქვს აკად. გ. წერეთელს, ძველი ქართული ტერმინები უფრო აღრინდელია, ვიდრე ის ტექსტები, რომლებშიაც ისინი გვხვდებიან (გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიშკის შოამბე, XIII, თბ., 1942, გვ. 40).

როგორც აღვნიშნეთ, მცხეთის არქეოლოგიური გათხრები მდიდარ მასალას გვაწვდის ქართლის სამეფოს ელინისტური ხანის თეატრალური კულტურის დასახასიათებლად. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არმაზციხის კლდეკარში აღმოჩენილი საარქოფავის ვერცხლის ბურკლეულიდან ერთ-ერთი თასი, რომელზედაც გამოხატულია ბაბთებით შემკული თირსები და ოთხი თეატრალური ნიღაბი კორიბანტებისა (მენადებისა), რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ქართლის სამეფოს სახილველებშიც (თეატრონებ-

ში) განსაკუთრებულ მოწონებაში უნდა ყოფილიყო აგუნა-ბაქს-დიონისური პანტომიმები. ასეთი პანტომიმის ვრცელი აღრეწილობა შემონახულია მსოფლიო მნიშვნელობის ძველ ქართულ რომანში „ბალავარიანის“ ვრცელ რედაქციაში, რომელიც ხელმისაწვდომი შეიქმნა პროფ. ილია აბულაძის გამოცემით. „ბალავარიანი“ ვითხულობთ: მემგოსნენი და მეჩანგენი.

1. ოდესმე ეჩუენიან სამოსლითა და სახითა მამაკაცობრივითა.
2. და ოდესმე საჭურველითა შეიმკვიან და ვლენედ.
3. და ოდესმე სახითა მონადირეთადათა.
4. და ოდესმე ქნარითა და ნესტეთა და წინწილითა და თითო პირითა სახიობითა შემკობილნი...
5. და ოდესმე ზედა მიეპრებიედ განშიშვლებულნი და ეტყვიედ მრავალთა სიტყუსა აღძრვისასა.

ამ პირწმინდათ აგუნა-ბაქსურ-დიონისური პანტომიმური წარმოდგენის „მემგოსნე მეჩანგეთა“ გამოშახველი უნდა იყოს ბაგინეთისა და სადგურის აკლდამაში აღმოჩენილი მოცეკვავე ქალისა და ფლეიტისტის ქანდაკებანი. სწორედ ამ განვითარებული თეატრალური კულტურის მრავალდებელი არმაზციხის კლდეკარის საარქოფავში ნახული ვერცხლის თასი დიონისეს მსხვემელი კორიბანტების ნიღბებითა და მათი თირსებით.

ლეონტი მროველის და ჯუანშერის საისტორიო მწერლობაში შემოგვინახა II—V ს. სიმღერისმწერლობის (დრამატული პოეზიის) ფრაგმენტები, ისინი ფარსმან ქველის და ვახტანგ გორგასალის მსახველი ტრაგედიებიდან მომდინარეობენ.

ქართულ სახიობას რუსთაველის ხანისათვის უკვე მრავალსაუქუნოვანი განვითარების მანძილი ჰქონდა გავლილი და ახალ აღორძინებას განიცდიდა. რუსთაველის დროის სახიობაში დახელოვნების გასათვალისწინებლად სხვა წყაროებიც რომ არ გვშველოდეს, „ვეფხისტყაოსნის“ დაკვირვებული შესწავლაც იკმარებდა.

სახიობა წარმოადგენდა პოეტური სიტყვის, სიმღერის და ცეკვის შერწყმას. „რუსთაველიანმა“ შემოგვინახა სახიობის წარმოდგენის ძვირფასი აღრეწილობა. მსახიობ-ქალებს „ასეთი თვალითა და მარგალიტით გაფრქვეული ტანისამოსი ეცვათ და ყოველსთანა სამკაული ჰქონდათ, რომ ვარსკვლავით ბრჭყვიალობდა, ორონი გამოვიდინ ერთიგად, ითამაშიან და კილევ სხვა ორნი გამოვიდინ სხვაგვარად, რამდენი გამოვიდა, სხვაგვარად ითამაშეს, სხვაგვარად ირავი დაუტრეს და სხვა ხმა თქვეს“. სწორედ ასეთი წარმოდგენები იყო გავრცელებული XII საუკუნის საქართველოში და ამიტომაც რუსთაველის პოემის პერსონაჟმა როსტევეანმა „სიხარულით თამაშობა აღიდა, მგოსანი და მოშაითი უხმეს, პოვეს, რაცა სადა“.

სახიობა ნამდვილი თეატრალური წარმოდგენა იყო რამდენადაც ვარდასახვას, პოეტური ნაწარმოებით მოცემულ მოქმედებათა განხორციელებას შეიცავდა. აქი „ვეფხისტყაოსნის“ ფაქტობრივად (რომელიც იმდენად იყო „მეტრიბთა და მომღერალთა მოყვარულთა“, რომ თვით ლებულობდა პროფესიულ მომღერალთა გვერდით სახიობაში მონაწილეობას) ამბობს: „ბაღსა შიგან თამაშობად სალამოსა გავე ქამსა... მოძყებოდეს მომღერალნი იტყვიდნან ტყბილსა ხმასა, ვიმღერდი და ვცმაწვილობდი, ვიცვალე რიდე-თმასა“. რიღის (თავისა და ტანის საბურავის) შეცვლა სამსახიობო გარდასახვის ძველთაგანვე ცნობილი საშუალებანია. „ბალავარიანის“ მოწმობითაც ხომ ქალნი „მემგოსნენი და მეჩანგენი“ „ერუენიან სამოსლითა და სახითა მამაკაცობრივითა“, საქურველითა შეიმუშუებენ, სახითა მონადირეთაითა... ამრიგად, სრულიად ნათელი ხდება, თუ რას ნიშნავს ფაქტობრივად თქმა: „ვიმღერდი და ვცმაწვილობდი, ვიცვალე რიდე-თმასა“ ე. ი. ფაქტობრივად თამაშობისას გარდასახვით ახალგაზრდა მამაკაცს წარმოადგენდა და ამას აღწევდა „რიდე-თმას“ შეცვლით.

სახიობის განვითარებას საფუძვლად ედო სრულიად ჩამოყალიბებული ესთეტიკური შეხედულებანი, რამაც ასახვა ჰპოვა რუსთაველის პოეტიაში. რუსთაველმა „შაირობა“ სიბრძნის ერთ-ერთ დარგად მიიჩნია, ხოლო შაირობის ერთ-ერთ გვარს, „მესამე ლექსს“ (სიმღერისმწერლობას — დრამატულ პოეზიას) მოსთხოვა ნათლად თქმა და მონუმენტურობა: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. სახიობაში მცირე ჟანრის გაბატონებისას რუსთაველური ჟანრების აღსადგენად, რუსთაველი მოითხოვდა, რომ სიბრძნის დარგად აღიარებული შაირობის ყოველი დარგი და მათ შორის „მესამე ლექსი“ — „სიმღერისმწერლობა“ — „მოშაირობა“ — დრამატურგია „მსმენელთათვის დიდი მარგი“ ყოფილიყო. თანაც, რუსთაველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მსმენელის (მაყურებლის) საკითხი. რუსთაველმა კარგად იცის, რომ შაირობის (პოეზიის) და მისი ერთ-ერთი დარგის სიმღერისმწერლობის (დრამატული პოეზიის) სიბრძნე რომ საზოგადოებრივ მოვლენად იქცეს, ამისათვის არ მარა მარტო დრამატული მწერლობა და მისი შემსრულებელი: მემღერე, მემგოსნე-მეჩანგენი. დრამატული პოეზიისა და მსახიობელთა ხელოვნების კეთილი ზეგავლენის ძალა ბევრად არის დამოკიდებული თვით მაყურებელ-მსმენელზე. რუსთაველის შეხედულებით: „ქვლა აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“. სახილველში (თეატრში) სიამის („წინაგანწყმენდისა და წინაგანწყვლის“) მისაღებად, სიბრძნის შესათვისებლად მაყურებელი მომზა-

დებით და გათვითცნობიერებით „ვარგი“ უნდა იყოს. რუსთაველი სახიობისათვის „ვარგი“ მაყურებლის საკითხს აყენებდა და ესეც საფულისხმობა, რამდენადაც ამჟღავნებს იმ დროის ესთეტიკური პროვინციის დაწინაურებას.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სასახლის კარის ვიწრო წრისათვის, ისევე როგორც ბიზანტიაში, საქართველოშიც განავრცობდნენ სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიების, მენანდრეს კომედიების წარმოდგენას. საქართველოში იმ დროს არსებული უმაღლესი სკოლები — გელათის და იყალთოს აკადემიები და საქართველოს გარეთ, უცხოეთში შექმნილი ქართული სემინარიები ელიზბრეტის ტრაგედიების სწავლება-წარმოდგენებით ხელს უწყობდნენ ანტიკური კულტურის ტრადიციების აღდგენა-შეთვისებას.

ქართული სახიობა რუსთაველის ეპოქაში წარმოადგენდა სრულიად თვითმყოფად თეატრს, რომელსაც წარმართადა საკუთარი სიმღერისმწერლობა (დრამატული პოეზია), სიცოცხლეს ანიჭებდა მემღერე-მემგოსნე-მეჩანგეთა მრავალსაუკუნოვანი ხელოვნება და ნიადაგს უმაგრებდა ნაცადი წყობა და მოქნილი ორგანიზაცია.

სახიობის სიმღერისმწერლობის (დრამატული პოეზიის) რუსთაველის კლასიფიკაციით „მესამე ლექსის“ ჟანრებია: ქება, ჭალ-ვაჟიანი — სააშოკო, ბასრობა (ამხანაფთა სათრეველი — სატირიკული) და სალაობობა — (მსუბუქი ჟანრი, გასართობი). ქება სასახიობო შესრულების ნაწარმოებსაც აღნიშნავდა და იგი ძველი ქართული დრამატული პოეზიის ერთ-ერთ სახესაც წარმოადგენდა. მეფის შეუზღუდველი თვითმპყრობელობის განმტკიცებისათვის ბრძოლის ვითარებაში დრამატული ჟანრის ეს სახე, როდესაც მეფის პიროვნების გაღვთებრივებასაც კი ცდილობდნენ, „ქებანი“ წარმოადგენდა მეტად ხელსაყრელ იდეოლოგიური ზეგავლენის იარაღს, როგორც სასახლისკარის სახიობაში, ასევე სახალხო, საჯარო საზეიმო მსვლელობა-სანახაობაში. ამიტომაც იყო, რომ როსტევიან საზეიმო მსვლელობა-სანახაობაში. ამიტომაც იყო, რომ როსტევიან მეფე, როდესაც ტახტზე თინათინი აპყავდა, ბრძანებდა: „მოდი და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან შემამკობელმან“. ამისდა მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ არსებობდა არა მარტო სახობო დრამატული მწერლობა, არამედ სახიობის ამ ჟანრის პროფესიული შემსრულებელიც, „შემსხმელნი, შემამკობელნი“.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიხედვით შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ თვით რუსთაველი იყო თავისი დროის სახიობის ერთ-ერთი ჟანრის ქებასი სიმღერისმწერალი, დრამატული პოეტი. ამას გვათქმევინებს „ვთქვენ ქებანი ვისნი მე არ ავად გამოჩეულის... ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხელში“. წარსულ-

ში, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდე, რუსთაველს შეუქმნია ქებანი, რომელიც საჭარო შესრულებისათვის, მოსასმენად ყოფილა განკუთვნილი. ჩვენს თეატრალურ უმაღლეს სკოლას რუსთაველის სახელი ეწოდა. როგორც მტკიცდება, რუსთაველი იყო სახიობის სიყვარულის მწერლობის, დრამატული პოეზიის ისეთი გამოჩენილი შემოქმედი, რომ საფუძველი ჰქონდა განეცხადებინა:

ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია  
ეს მიჩანს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია...

იმდენად სააჟაყო იყო რუსთაველისათვის დრამატული პოეტობა, რომ პოეტს ათქმევინებდა — ეს მიჩანს დიდად სახელადო — და, თეატრალურ ინსტიტუტს რომ რუსთაველის სახელი ეწოდებდა, ყოველ მის პედაგოგს და სტუდენტს შეუძლია სიაჟაყით თქვას — „ეს მიჩანს დიდად სახელად“.

მეორე, რითაც ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია რუსთაველი, ეს ის არის, რომ — კლუბკალებისაგან, ეკლესიის დოგმატიკოსებისაგან თეატრის და სახიობის დეენის ვითარებაში მან „თამაშობა აღიადა, მგოსანი და მოშაითი უხმეს პოვეს რაცა სადა“. და მართლაც, აბა დაეუკვირდეთ, ქრისტიანული მსოფლიო საეკლესიო კრებები აკანონებდნენ: „სიმღერანი... მგოსნობანი და სახიობანი და ესე ვითარი მათ ხმათა საუშუალოთა სმენანი ბარბოთებისა და ორღანობებისა ებანთა და წინწილთა და მროკვალთა და მომღერალთა ხედვანი ესე... უჭერო არიან, რომელ საქმენი არიან საწარმართონი... როცკანი დედათანი ნულარმცა იქნებიან... ესე ყოველი... მოისპენ“. მსოფლიო ეკლესიის ოქროპირი მქადაგებლები იწყევლებდნენ: „ვსწყევდიდეთ მას, რომელმან თეატრონი აღაშენა ქალაქთა შინა და სახიობანი შეამზადანა...“ ეკლესიის მამანი აფრთხილებდნენ მორწმუნეებს: „დიდი ენება და წარწყმედა ამის თავისა და სულისა. მისვლაჲ თეატრონთა და ხედვაჲ ბოროტთა მათ საქმეთა უსჯულოებისა“.

რუსთაველმა კი მთელ მსოფლიოში გამეფებული შუა საუკუნეობრივი წყვილიან ვითარებაში ხმა აღიმალა და სახიობა და თეატრი აღიადა. მან თვის პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ავთანდილი ორფევისის საღარ ისეთ მომღერლად გამოაცხადა, რომ რა ესმოდეს მღერა ყმისა, სმენად მხეცი მოვიდინ მისეე ხმისა სიტკბოსაგან, წყლით ქვანიცა გამოსხდიან ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან, იმდერს ლექსთა საბრალთა, ღვარისაებრ ცრემლი სდიან.

რუსთაველმა უკუაგდო ქრისტიანული ეკლესიის წყევლა-კრულვა სახიობისა და თეატრისადმი და მომღერლობა — სახიობა აღიადა. რუსთაველმა ავთანდილი გამოხატა არა მარტო ორფევისის სა-

დარ მომღერლად, რომელსაც ძალა შესწევს თავისი სიმღერით მხეცები მიიზიდოს, არამედ ავთანდილის სიმღერის ხელოვნებას აღმოსაველეთისა და დასავლეთის ხალხთა კუთვნილებად და ხაზგასმულია ამ ხელოვნების საკაცობრიო მნიშვნელობა. ქართული სახიობის შემოქმედებითი ძალის გამოშახველი, მომღერალ ავთანდილის შესამკობლად

„მაციდიან... ქვეყნით ყოვლნი სულიერნი  
ინდო-არაბ-საბერძნეთით მაშრიყით და მალრიბელნი,  
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიტელნი.

ამ სიტყვებით რუსთაველმა პოემაში ასახა ქართული სახიობის შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობის დაძლევა, მსოფლიო სარბიელზე გამოსვლის ჰუმანისტური ტენდენცია. რუსთაველმა ავთანდილის სიმღერის შესამკობლად შემოკრიბა „ქვეყნით ყოვლნი სულიერნი, ინდო-არაბ-საბერძნეთით მაშრიყით და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიტელნი“. ასეთი საკაცობრიო საზომი ქართული სახიობისათვის შეესაბამებოდა იმ დიდ მნიშვნელობას, რასაც გაერთიანებული და მთელ წინააზიაში უძლიერეს სახელმწიფოდ დაწინაურებული საქართველო მსოფლიო სარბიელზე იხვეპდა. ეს კარგად არის გამოხატული იმ ტიტულატურაში, რომლითაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მოხსენიებს გიორგი მესამეს — თამარის მამას, — „მპყრობელი მოხსენიებისა და დასავლეთისა, ჩრდილისა და სამხრისა, ბელის აღმოსაველეთისა და დასავლეთისა, ბერძენთანი, იერუსალიმს აღმთანი და ჰრომთანი და ჰინდოთანი და ხონელნი; და ვგრეთვე სულტანნი ხორასისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონისანი ჰმონებდეს და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ხაზარნი, აღანისანი, ხუარასანი და ხუარაზშუა და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელაპიტელნი და შუაღმინარელნი. და ყოველნი ენანი და ნათენი, ვლამიტელნი და შუაღმინარელნი“. (ქართლის ცხოვრება, ტ. II, საენი მაშრიყით და მალრიბადე“. (ვეფხისტყაოსნის“ ახალ გვ. 23). ამიტომ, გაუმართლებელი ჩანს იმ უფრო, რომ ეს ტაეპი XVII გამოცემებიდან ამ ტაეპის ამოღება, მით უფრო, რომ ეს ტაეპი XVII საუკ. ხელნაწერებში, ეახტანვის მიერ გამოცემულ პირველ ბეჭდვით წიგნში, ბროსეს და ჩუბინაშვილის გამოცემებში, საიუბილეო გამოცემაში, 1957 წლის გამოცემაშიც არის და ახლა რატომღაც ამოღებულია.

უდიდესი მომღერლის შესამკობლად „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა შემოკრიბა იმდროინდელი მსოფლიო „ინდო-არაბ-საბერძნეთით“

1 იხ. დ. ჯანელიძე, „მოვიდიან შესამკობლად“ თუ არ მოვიდიან, გაზ. „სოციალისტი“, 1970 წ. 27/1111, № 199.

ნეთით, მაშრიყით და მარბეღლით, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი; ამჟერად რუსთაველიმა ასახა, თუ რაოდენ ფართო მასშტაბით ეწყობოდა იმ დროის საქართველოში სახიობის სახელგანთქმულ ოსტატთა სახალხო აღიარების ზეიმი. რუსთაველისაგან ნესტან-დარეჯანის შობის დღესასწაულის აღწერისას ვხვდებით, რომ ნიღბოსანთა დიდი წარმოდგენები ეწყობოდა, რითაც „მოვიღიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლინ სულიერნი“. — რუსთაველს ნათქვამი აქვს, რომ ძეობის დღესასწაულზე: ყოვლი არსად შემოსრული (თუ შემოსილი) მხიარულად თამაშობდა. — აქ დიდ პანტომიმურ წარმოდგენაზეა ლაპარაკი, რომელშიც მონაწილეობდნენ ნიღბოსნები: „კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით ფრინველნი“.

სწორედ ასეთი პანტომიმის აღწერილობაა მიკვლეული ძველ ქართულ მწერლობაში, სახელდობრ „სიბილაინაში“.

XII საუკუნის გამოჩენილი სიმღერის მწერალი უნდა ყოფილიყო ბისტაკა. იგი თავის ნაწარმოებებს ოცმარცვლიანი საზომის თავისებური სახით წერდა, რისთვისაც მის ფისტიკაური ეწოდა ოცმარცვლიანი ზომა მოიპოვება პროკიპის მარტივობის VI—VII ს. ტექსტში ლექსად ნათარგმნ ილიადას ტაეპში: „არა კეთილ არს მრავალფეხება, ერთ უფალ იყვან და ერთ მეუფე“. (ილ. II, 204). რუსთაველსაც გამოყენებული აქვს ოცმარცვლიანი ზომა (ფისტიკაური) პოემაში საიუბა, (771) „შეკრა წითელი ასი ათასი“, სახიობის შემსრულებელი მსახიობებია: მგოსნები, მუტრობები, მოშაითები, მემღერენი, მოკიცხარნი, მშულაენი, მროკვალნი, მეშუშპარენი, მრგვალის მომელენი, მემუსიკენი, მახიობელნი და მსახიობელნი და სხვ., რომელნიც დაბალი სოციალური ფენიდან იყვნენ გამოსულნი. ცალკეულ მსახიობები ახერხებდნენ სიმდიდრის მოხვეჭას და აღზევებას. თუ ახალგაზრდობაში ყუთლუ არსლანი მსახიობი იყო, შემდეგში იგი აღზევებას აღწევს და თამარ მეფის მთავრობის ვეზირი — მეჭურჭლეთუხუცესია (ფინანსთა მინისტრი). ასევე, სახიობის მემღერემ და მოასპარეზემ, სადღუნ მანკარბერდელმა ათაბაგობას მიაღწია.

მეთორმეტე საუკუნის სანახაობრივი კულტურის აღორძინებას მოწმობს მრავალი სახის სანახაობრივ ნაგებობათა („სახლი სათამაშო“, „სახლინი“, „სახლი სანადირთ“, წაწულეთი, მოედანი, იბოდრომი, უბანი და სხვ.). არსებობა და სასახიობო მდიდრული საკარგო აღაპმულობის ქონება. ყოველივე ეს ასახულია „ვეფხისტყაოსანში“, რუსთაველის ეპოქის საისტორიო და მხატვრული მწერლობის ძეგლებში და ყურადღებით შესწავლას მოითხოვს.

1966 წ.

### წიგნიერთი ცნობა ტრაპიზონის იმპერიის სანახაობრივი კულტურის ისტორიისათვის

პროფ. ს. ჟაუხიშვილმა 1967 წელს გამოაქვეყნა გეორგიას (ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ) მეშვიდე ტომი. ამ ტომში ქართული ანატიკის ისტორიის თვალსაზრისით აღწერილობას იქცევს რამდენიმე ცნობა, რაც ბიზანტიულ ისტორიკოსებს, გეორგი პაპიფერეს, ნიკიფორე გრიგორისს და მიქელ პანარეტოსს ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის გასაშუქებლად მოჰყავთ.

ჯერ თვით ტრაპიზონის იმპერიის (1204—1461) შესახებ.

საქართველოს ისტორიის პირველ ტომში, რაც 1958 წელს დამხმარე სახელმძღვანელოს სახით გამოქვეყნდა, ტრაპიზონის დაარსების შესახებ ნათქვამია: „XIII საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს მეფის კარზე მომწიფდა ახლი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ისეთი ქრისტიანული სამეფოს შექმნისა, რომელიც საქართველოს აქტიურად დაუპირდა მხარს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბიზანტია იმ დროს მეტად შევიწროებული იყო, კერძო ტატივის გარშემო ბრძოლას ბოლო არ ეღებოდა, თურქები შეტევებზე გადმოსულიყვნენ, ხოლო დასავლეთ ევროპელი ჯარისკაცები საციკლის დაპყრობასა და იქ დამკვიდრებას ლაშობდნენ. საქართველოს დასავლეთის მხრიდან საფრთხე უჩნდებოდა. ბიზანტიის აღმოსავლეთ ნაწილს თურქთა მიერ დაპყრობა ემუქრებოდა. 1204 წელს ჯარისკაცებმა ბიზანტია დაიპყრეს. სწორედ ამ დროს საქართველო აქტიურად ჩაება ბიზანტიის საქმეებში. ქართველთა ჯარი თამარის ბრძანებით შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს შეესია და აღვილად დაიპყრო ქართველი ტომებით დასახლებული ქანეთა ანუ ლაზისტანი. ქართველებმა დაიმორჩილეს აგრეთვე ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა და ერაკლეა. დაპყრობილი ქვეყნებიდან თამარმა შექმნა ცალკე სახელმწიფო, სადაც მეფედ დასვა საქართველოში მეფის კარზე გაზრდილი ბერძენი უფლისდასავლეთი საქართველოში მეფის კარზე გაზრდილი ბერძენი უფლისდასავლეთის შული ალექსი კომნენოსი. ამგვარად, საქართველომ დასავლეთის მხრივ მეზობლად გაიჩინა ტრაპიზონის საკეისრო, სადაც ქართველთა პოლიტიკური გავლენა დიდხანს უცილობლად ბატონობდა“ (ნ. ბერძენიშვილი, მ. დონდუა, მ. ლუშბაძე, მ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958, გვ. 201—202).

ივ. ჟაუხიშვილი, ეხებოდა რა ტრაპიზონის სამეფოს და მის ურთიერთობას საქართველოსთან, წერდა: „საქართველოს მეზობ-

ლად ამ დროიდან მოყოლებული თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი საკეისრო განადა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომებით იყო დასახლებული, პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პეგემონია სუფევდა, მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველმა მონათესავე კანების ტომებისაგან შედგებოდა. ბერძენთა მოსახლეობა მხოლოდ ქალაქებში იყო და მარტო მაღალი წრის ფენას ეკუთვნოდა. მაგრამ ამ მაღალი წრის ფენაშიც ქართველ მოსახლეობასაც საკმაოდ ჰყავდა თავისი წარმომადგენლები“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1965, გვ. 381; წიგნი III, 1966, გვ. 202—208, 363—365, 390—393; საქართველოს ისტორია, XI—XVI საუკუნეები, თბ., 1949).

აქად. თ. უსპენსკი შემდეგნაირ დასკვნას აკეთებს ტრაპიზონის სამეფოს დაარსების შესახებ: «Утверждение (Комненов) на Черноморье было делом правительства Тамар и на первых порах Алексей должен был сознавать себя ее вассалом, сколько бы знатен он сам не был. В таком свете основание государства Комненов является лишь эпизодом в борьбе Грузии за преобладание на восточном Черноморье, продолжением политики отпа Тамар, войска которого доходили и до Ерзерума и до самого Трапезунта» (Ф. Успенский, История Византийской империи, т. III, 1948, стр. 601).

თვით ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი, რომელიც დაახლოებული იყო ტრაპიზონის მეფის კართან (XIV საუკუნაგვარი, XV საუკუნა პირველი მეოთხედი) თავის „ტრაპიზონის ქრონიკაში“ თხრობას ასე იწყებს: „მოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებული ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა იბერიიდან მისი მამიდის თამარის გულმოდგინებით და ღვაწლითა და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი“ (გეორგიკა VII, გვ. 165—166; მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, ბერძენული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებით და საძიებლით გამოსცა ალ. გამყრელიძემ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 16). თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილ ეზოს-მოდლეარი იმ შემთხვევასაც ასახელებს, რითაც თამარ მეფემ ისარგებლა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთზე ლაშქრობისათვის. ეს მომხდარა 1203—1204 წლებში. თამარ მეფემ საზღვარგარეთ არსებულ მონასტრებისათვის დიდი შესაწირავი გასცა. ბერები რომ ამ შესაწირავით კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ, ბერძენთა მეფემ,

ალექსი მესამემ თამარის ბოძებული იქრო ქართველ ბერებს წაართვა. ეს უკვე საბაზად ემართა. თამარმა თავისი ლაშქარი გაგზავნა შავი ზღვის პირზე და არა მარტო ქანეთიდან განდევნა ბერძენები, არამედ აღმოსავლეთ ბიზანტიის დიდი ტერიტორიაც დაატო-მებნა. ბასილ ეზოსმოდლეარი წერს: თამარი „განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიბთ-იქითნი და წარუღეს ლაზია; ტრაპიზონი, ლიპონი, სამისონი, სინოპი, კერასუნ-დი, კოტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლ-ლონისა და პონტოსიანი, და მისცა ნათესაჟსა თვისსა ალექსის კომ-ნანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მამინ თვით წინამე-თამარ მეფისა შემოხვეწილი“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვი-ლის მიერ დადგენილი ტექსტით, ტ. II, გვ. 142).

ახლა უცხოელ მეცნიერთა მიერაც საჭვევოდ აღიარებულია, რომ ტრაპიზონის სამეფო საქართველოს მიერ იყო შექმნილი და მისი ვასალი იყო. როდესაც თ. უსპენსკის შრომა „ნარკვევები ტრაპიზონის იმპერიის ისტორიისა“ გამოქვეყნდა, ვურნალმა „ბიზან-ტინიშ ცაიტსრიფტმა“ ამ წიგნს რეცენზია უძღვნა. რეცენზიის ავ-ტორი ფ. ებსტაინი წერდა: „ელენიზმის მიერ არასდროს არ ყოფი-ლა ტრაპიზონი სრულიად შთანთქმული, ხოლო კულტურულად და პოლიტიკურად განსაკუთრებით საქართველო-სომხეთის ძლიერ-გავლენის ქვეშ იყო, ვიდრე XV საუკუნის მეორე ნახევარში კონს-ტანტინოპოლის პალეოლოგოსურმა ტენდენციებმა არ დაჩრდილეს ადგილობრივი ქართულ-ლაზური გავლენა“ (ტ. I, 1931, 101—102; გეორგიკა, VII, გვ. 157). ცნობილი რუსი ბიზანტინისტი ა. ვასი-ლიევი თავის შრომაში „ტრაპიზონის იმპერია ისტორიასა და ლი-ტერატურაში“ უსპენსკის დამსახურებად ტრაპიზონის იმპერიის შესწავლაში განსაკუთრებით იმას სთვლიდა, რომ მან ხაზგასმით აღნიშნა ადგილობრივი ლაზური ელემენტების განმსაზღვრელი ზე-გავლენა ტრაპიზონის იმპერიაზე, რომ იგი (ტრაპიზონის იმპერია) უფრო მეტად იყო დაკავშირებული თბილისთან და საქართვე-ლოსთან, ვიდრე კონსტანტინოპოლთან და ბიზანტიისთან (Бизантийский временник, т. I (XXVI), М., 1947, стр. 357).

პირველ სანახაობრივი ხასიათის ცნობას ტრაპეზუნტის სამე-ფოს ისტორიიდან ჩვენ გხვდებით იოანე აქსუხოსის მეფობის ქრო-ნიკაში. მიქელ პანარეტოსის სიტყვით, იოანე აქსუხოსმა (1235—1238) „იმეფა... და გარდაიცვალა 6746 წელს, ამბობენ; ცხენბურ-თის მოედანზე თამარის დროს ცხენიდან გადმოვარდა, დამტყრა და მოკვდა“ (გეორგიკა VII, გვ. 167). იოანე აქსუხოსი იყო შვილი ტრაპეზუნტის საკეისროს პირვე-ლი მეფის, ალექსი კომნენოსისა. აქად. ა. კუნისკის სიტყვით: „ტრაპი-“

ზონის პირველი მეფე ალექსი და მისი ძმა დავითი ისე პატარები უნდა ჩამოყვანათ საქართველოში, რომ ბერძნული ენის სწავლა მხოლოდ აქ თუ შეეძლოთ, ამასთან ერთად უნდა ვალიაროთ, რომ მათი შრობილიერა ენა ქართული უნდა ყოფილიყო, რომელიც უკეთ უნდა სცოდნოდით, ვიდრე თავიანთი მამული ენა, რაკი თავიანთი ნათესავის, თამარ მეფის კარზე იზრდებოდნენ — ქართველ დიდებულებსა და მეთაურებში ქართული ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების გავლენის ქვეშაც იყვნენ. ასე რომ, ოცი წლის ასაკში ალბათ ქართველ დიდებულებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ბიზანტიელებს.“ (А. Куник, Основание Трапизунтской империи в 1204 году. Учен. записки императорской АН по первому и третьему отделениям, т. II, вып. 5, СПб, 1854, стр. 726; ალ. გამყრელიძე, მიქელ პანარეტოსის ტრაპიზონის ქრონიკა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 9). ასეთი აღზრდის გარკვეული გავლენა, ცხადია, ალექსის შვილზე, იოანეზედაც გადავიდოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ტრაპიზონის სამეფოს არსებობის პირველ ათეულ წლებში ქართულ ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების გავლენა ტრაპიზონელი მეფის კარზეც იქნებოდა გაბატონებული. თუნდაც ის, რომ იოანე მეფე მოედანზე ცხენბურთის თამაშობაში მონაწილეობს. თამარ მეფის კარზე ხომ ცხენბურთის თამაშის არსებობა ისტორიულ წყაროებშიც არის ასახული და მხატვრული მწერლობის ძეგლებშიაც. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მოგვითხრობს: „უბრძანა მეფემან ამირსპასალარსა და მისსა ზაქარიასა და მსახურთ-უხუცესსა ივანეს, პერეთისა ერისთავსა გრიგოლს და სხუათა მოყმეთა და ჩავიდეს მოედანს. და მუნით ჩამოვიდა ამირ-მირმან მისითა დიდებულთა და მონათა და თვით თამარ საქურეტლად პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელ-მფენითა. ისლიმნი, დაჯერებულნი მეცნიერებისანი და მძლე-მბრძოლნი, მსწრაფლ იძლიენეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მკმუნებულნი“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტი, ტ. II, გვ. 67).

ცხენბურთი „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული საბიერებისათვის არის მოხმობილი: „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა, მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა. მართ აგრეთვე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ (სტროფი 13). „ათ დღემდის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა ებნისა, მოედანს მღერა, ბურთობა, დგრილი ცხენთა დგენისა“ (სტროფი 1122).

ცხენბურთის მოედანი თ. უსპენსკის თქმით, ტრაპიზონში ქა-

ლაქარეთ მდებარეობდა (Ф. Успенский, Очерки по истории Трапезунтской империи, стр. 12). ალ. გამყრელიძე, მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“, გვ. 54). სათამაშო მოედანს ბერძნული სახელი „ტრეკანისტერიონ“ განიხილა ს. ყაუხჩიშვილმა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ სიტყვის ძირითადი ნაწილი „ტრეკან“ ან „ტრეკან“ უნდა იყოს „ჩოგან“ (გეორგიკა, VII, გვ. 167). ამ ფორმით იხმარებოდა სპარსულიდან შემოსული ეს სიტყვა ქართულშიაც: „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“ („ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 14).

ამისდა მისევედ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისევე როგორც საქართველოში, ტრაპიზონშიც არსებობდა ჩოგანბურთის — ცხენბურთის მოედანი; ქართული მეფეების მსგავსად, არც ტრაპიზონელი მეფეები ერიდებოდნენ ცხენბურთის სათამაშოდ მოედანზე გამოსვლას.

რაც შეეხება ტრაპიზონელი მეფის იოანეს ცხენბურთის მოედანზე თამაშის დროს ცხენიდან გადმოვარდნას, დამტრევესა და სიველილს, არა გვგონია რომ შემთხვევითი იყოს. ცნობილია, რომ ბიზანტიის სამეფო კარზე ქართულ გავლენას ებრძოდა პრობიზანტიური პარტია და შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მეფე იოანეც ცხენბურთის მოედანზე თამაშობის დროს ამ ბრძოლის მსხვერპლი შეიქმნა. ჩოგანბურთის — ცხენბურთის სათამაშო მოედანი (იბოლომომი) რომ ტრაპიზონშიც მწვავე პოლიტიკურ შეჯახებათა ასპარეზი იყო, ამის მოწმობაც შემონახულია. მიქელ პანარეტოსის ქრონიკით „1365 წელს, აღდგომის დღე კვირას, როცა იმპერატორი მოედანზე იყო, მოხდა შეხლა-შემოხლა კონსულსა და ბაილს შორის“. (გეორგიკა, VII, გვ. 200). ალ. გამყრელიძის განმარტებით, კონსულს ეძახდნენ ვენეციელთა ფაქტორიის მეთაურს, ხოლო ბაილს ანუ ბაილოს — გენუელთა ფაქტორიის მეთაურს ანუ მოლრაგს (ალ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80). ასე რომ, მოედანზე იქ, სადაც იმპერატორიც იყო, ეტყობა, გარკვეული თამაშობანი იყო გამართული, მომხდარა უთანხმოება ვენეციელთა და გენუელთა შორის. თუ გავითვალისწინებთ საიპოდრომო კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვენეციელებსა და გენუელებს აქ, მოედანზე ურთიერთს დაპირისპირებული, თავიანთი სანახაობრივი დასები უნდა ჰყოლოდათ გამოყვანილი. შენახუთი სანახაობრივი დასები უნდა უცხო ვაჭართა კლასი ტრაპიზონის იმ-ლი აგრეთვე მოწმობა, რომ უცხო ვაჭართა კლასი ტრაპიზონის იმპერიის დედაქალაქში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა და იგი ზოგჯერ მეფის ხელისუფლებასაც კი უპირისპირდებოდა.

ალექსი II-ს (1297—1330), რომელსაც ცოლად ჰყავდა ქართ-



ველი დიდებულის, ბექას ასული, მოუხდა გენუელთა ამბოხების ცეცხლითა და მახვილით ჩაქრობა. ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი ხახიმიერი, რომელიც ბიზანტიის იმპერიას ლაზურად სთვლიდა, გვიამბობს: „ლაზთა მთავარს... ალექსის, რომელიც მეფურმა, გებდმა ააღზევა და ტრაპიზონის იმპერიას ლაზურად სთვლიდა, გენუელთან მოუხდა შებრძოლება შემდეგი მიზეზის გამო: გენუელებს, რომელნიც ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, ძველთაგანვე ჩვეულება ჰქონდათ, რომ მოგებას, რომელსაც ღებულობდნენ ვაჭრობიდან... უნაწილებდნენ ამ ქვეყნის მმართველებს. მაგრამ, როდესაც ისინი ქალაქში მომრავლდნენ და გამდიდრდნენ გადასახადებისაგან განთავისუფლების შედეგად ისე, რომ მათ ეწყალობათ (ეკლესიასაგან) მიეღოთ დასასახლებლად კონსტანტინოპოლს გადაღმა მხარე, რომელიც სიმაგრითაც უზრუნველი იყო და შენობებითაც დიდად ბრწყინვალე. ამიტომ, იმათ ჩათვალეს თავისთვის უღირსად მათი საქონლის გაჩხრეკა და შიამედ განიცდიდნენ ანგარიშგებას: თუ კეისრისგან გადასახადებისაგან განთავისუფლებული ვართ, სხვა დაბალ მოხელეებს რად უნდა დავემორჩილოთო. ამრიგად, შეურაცხყოფილი ისინი ალექსისთან გზავნიან, მათი საბჭოს საერთო დადგენილებით, მოციქულებს და უდგენენ ზოგიერთ მოთხოვნებს, რადგან მეფე სრულებით არ დაეთანხმა ამ მოთხოვნებს, მათ მოაჩვენეს, რომ მიდიან ლაზების ამ ქვეყნიდან მთელი შემადგენლობით... ხოლო ამ ქვეყნის მთავარმა ნება დართო ამ ქვეყნიდან გასულიყვნენ და არ აწუხებდა ეს მომხდარი ამბები, გარდა იმისა, რომ დააკავა ამას წინათ ჩამოტანილი საქონლის ერთი ნაწილი. როგორც უკვე მის ქვეყანაში მყოფი. ხოლო იმათ (ე. ი. გენუელებმა) მათთვის ჩვეული თავხედობით შესტურეს ზღვაში და მეფის ბრძანებას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ამიტომ იმან (ლაზთა მთავარმა), თან რომ ჰყავდა იბერთა რაზმები, ისინი მიუსია მათ შესაბამელად, და მაშინვე ორივე მხრით გაჩაღდა შუღლი და ომი, ეჭვრენენ ერთმანეთს და განუწყვეტლივ იხოცებოდნენ. გამარჯვება გადაიხარა იბერთაჲს, და გენუელებს ცუდი დღე დაადგათ. ბოლოს იბერთა იერიშებს რომ ვეღარ გაუმკლავდნენ და იმის რომ ეშინოდათ, რაც ამას მოჰყვებოდა, იმათ (გენუელებმა) ცეცხლი გაუჩინეს ქალაქის (ტრაპიზონის) გარეუბანს, იმიტომ კი არა, რომ გამარჯვების იმედი ჰქონდათ, არამედ, რათა მოწინააღმდეგენი რომ აირივდაირეოდნენ, ამით საშუალება მისცემოდათ თავი დაეღწიათ უბე-

1 ბიზანტიელი ისტორიკოსები, ისევე როგორც ბიზანტიის იმპერატორები, ტრაპიზონის მეფეებს მეფეებად და მით უმეტეს იმპერატორებად არ ცნობდნენ და მათ „ლაზთა მთავარს“, „ლაზთა არქონტს“ უწოდებდნენ.

ღურებინათვის. ამით მოხდა ის, რომ გენუზომელი ზარალი მიიყენეს ადგილობრივ მცხოვრებლებსაც და არა ნაკლებ და უფრო მეტად ცეცხლმა თვით ისინი (გენუელები) დაანარჩუნა: რამეთუ ის მათი საქონელი, თორმეტ ხომალდს რომ ააყებდა (ამდენი ხომალდი იღვა სანაპიროზე), მთლიანად ცეცხლის უღუფა გახდა. ამ ამიტომ გაუბედურებულმა გენუელებმა ზავი ითხოვეს“ (გეორგიკა, VII, გვ. 85—87).

ამ ბევრი რამ არის საინტერესო: ბიზანტიელებისათვის ტრაპიზონის იმპერია ლაზურია; თვით ბიზანტიელი ისტორიკოსის აღიარებით, ტრაპიზონის სამეფოს სამხედრო ძალას ქართველთა (იბერთა) რაზმები წარმოადგენდნენ. საქართველოსა და მის გარეუბანში მოქცეულ სამეფოთა ქალაქები რთული, სოციალურ-კლასობრივ წინააღმდეგობებით და მწვევე კონფლიქტებით აღსავსე ცხოვრებით ხასიათდებოდნენ. უცხოელ ვაჭართა ფაქტორიები ამ, მტყობა, თვითმმართველობის უფლებითა და სამხედრო ძალისა და საქუთარი ფლოტის ყოლის უფლებითაც სარგებლობდა და საგულისხმებელია, რომ მათ თავისი სანაპიროები დასებაც ჰყავდათ. ამიტომ ვასაგებია, — სანაპიროები მოედანი, სადაც იმპერატორი ამყარებოდა, სოციალური კონფლიქტების ასპარეზად გადაიქცეოდა.

ნიკიფორე გრიგორასის (XIV ს.) ცნობით, ტრაპიზონის მეფე ბასილ I, რომელსაც ცოლად ჰყავდა ირინე, ბიზანტიის კეისრის, ანდრონიკე III-ის (1328—1341) უკანონო ქალიშვილი, „ცოტა ხანს წესიერად და მართებულად იქცეოდა... შემდგომი მეფედ ირინე სიყვარული გადაიტანა ერთ საყვარელზე, რომელსაც აგრეთვე ირინე ერქვა“... ბოლოს ბასილიმ ირინე გააძევა სასახლიდან, მაგრამ სადღესასწაულო სანახაობებზე ირინეს სახელი კი ისმოდა. ამის შესახებ ნიკიფორე გრიგორასი წერს: „შინც საეკლესიო საგალობლებში და სადღესასწაულო ზეიმების დროს გამართულ სანახაობებზე („პომპიკოსს თეატრის“) ბასილისა და ირინეს ხსენებას გუნდრუქს უკმევდნენ. ამით ბასილი ასრულებდა თავის სატრფიალო ლტოლვას და ამავე დროს ხალხის სურვილსაც აკმაყოფილებდა, რადგან სახელების მსგავსების წყალობით მალაქდა თავის გულისწინააღმდეგობა“ (გეორგიკა, VII, გვ. 143-4). ამ ცნობიდან აშკარა ხდება, რომ საქართველოს სამეფოს მფარველობის ქვეშ მყოფ ტრაპიზონის სამეფოში ეწყობა დიდი სადღესასწაულო ზეიმები, რომ ამ ზონის სამეფოში ეწყობა დიდი სადღესასწაულო ზეიმები, რომ ამ ზეიმებზე იმართება სანახაობანი (წარმოდგენები). ამ წარმოდგენების — სანახაობების რეპერტუარშია ბასილისა და ირინეს ქებანი („ბასილისა და ირინეს ხსენებას გუნდრუქს უკმევს“)... იგულისხმება, რომ ამ სადღესასწაულო ზეიმებზე გამართული სანახაობა-წარ-

მოდგენები ეიწრო წრისათვის კი არ არის გამოიზნული, არამედ იგი საჯაროა, სახალხოა. აქი ნიკიფორე გრიგორასს ნათქვამი აქვს: ირინეს ქებით „ხალხის სურვილსაც აკმაყოფილებდა“, თუ ხალხი არ ნახავდა ამ სახობტო სანახაობებს, საიდან დაკმაყოფილდებოდა მათი სურვილი? საინტერესოა აგრეთვე, რომ ამ სახალხო სანახაობა-წარმოდგენების რეპერტუარი ისეა გამართული, რომ მეფის ხოლმეწამილსაც გამოხატავს და ხალხის სურვილსაც აკმაყოფილებს. გასაგებია, თუ ამ სანახაობა-წარმოდგენების შემოქმედ-სრულდებილი დასი რა მაღალი ოსტატობით უნდა ყოფილიყო აღკურვული, რომ თავისი „ქებანი“ ასეთი საპირისპირო მიმართებებით გაეზარებინა. საინტერესოა ისიც, რომ ამ სანახაობა-წარმოდგენების რეპერტუარს წარმართავს მეფე, ე. ი. სანახაობრივი კულტურა ემორჩილება და გამოხატავს მეფის გულისწადილს, მის მიწრადფებას და ემსახურება მის პოლიტიკას.

ამით მტკიცდება, რომ ისევე როგორც საქართველოში, ტრაპიზონის სამეფოშიც „ქებანი“ დრამატული პოეზიის ერთერთ დარგს წარმოადგენდა. საქართველოს მსგავსად, ტრაპიზონის სამეფოშიც „ქებანი“ საჯარო, სახალხო წარმოდგენებზე დრამატული განსახიერებით, სანახაობა-წარმოდგენებით სრულდებოდა. (დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, 1966, გვ. 256—258).

როდესაც მიხეილ კომენოსის ვაჟი გამეფებულა (XIV საუკუნეში) ტრაპიზონის სამეფოში ნიკიფორე გრიგორასის სიტყვით „ის (მეფე) ანგარიშს არ უწევდა ძველ სხოლარიებს (სწავლულების) შეხედულებებს, ამჯობინებდა თავის ტოლებთან ურთიერთობას და მათი მონაწილეობით ფარულ ამხანაგობას ადგენდა, დროს ატარებდა მათთან ერთად, ნადიმებსა და ქეიფში მეგზუნე და მროკავ ქალთა წრეში სიამოვნებას არ იკლებდა და ტრაპეზუნტელთა სამეფოს სალაროს თანხებს ანიავებდა. ამით უკმაყოფილო სხოლარიებმა დააბრუნეს ლიმნაში დამწყვედებული მამა ახალგაზრდა მეფისა მიხეილ კომენოსის (მისი მოდარაჟე საქურისი უკვი გარდაცვლილიყო) და აღადგინეს სამეფო ტახტზე. ხოლო ის დაუდგარი ბიზანტიაში გაგზავნეს მცველების თანხლებით“ (გეორგიკა, VII, გვ. 151).

ყერ ერთი, ტექსტის დასაზუსტებლად: ს. ყაუხჩიშვილის „ავლეტრას“-ის ქართულ შესატყვისად მიანია „მეგზუნე“, რაც არ არის სწორი. მეგზუნე ებანი-დან არის ნაწარმოები. ებანი კი, როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს გარკვეული, ძალეზიანი საკრავია. „ავლეტრას“-ი ფლეთისტ ქალს ნიშნავს და ამის შესატყვისი ქართული უფრო სწორი იქნებოდა „მე-

ტესტე ქალი“ ანდა „ქალნი მოსტეინარენი“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 177—207).

საინტერესოა, რომ ნადიმობა, მენესტე და მროკავ ქალთა წრეში დროს გატარება დაკავშირებულია ფარული ამხანაგობის შედგენასთან. ხომ არ უნდა გავიგოთ ეს ისე, რომ ტრაპიზონის მეფე თავის თანატოლებსაგან ფარულ ამხანაგობას ადგენდა. ამით რაღაც გარკვეულ კრებულს (პარტიას) ჰქმნიდა, რომელსაც თავისი სანახაობრივი დასი (მენესტე და მროკველი ქალები) ჰყავდა. ებანია, აქაც საქმე გვაქვს სანახაობრივი კულტურის გარკვეულ პოლიტიკური მიზნებით გამოყენებასთან, ხოლო ისტორიკოსი ტენდენციულად სანახაობრივი დასის ფარული ამხანაგობის მიერ გამოყენებას უზნებოდ მიიჩნევს. ტექსტიდან აშკარაა, რომ ეს ფარული საზოგადოება (კრებული), რომელსაც თავისი სანახაობრივი დასი გააჩნდა, გარკვეული პოლიტიკის გამტარებელი იყო, რაც მოწინააღმდეგე სხოლარიების უკმაყოფილებას იწვევდა.

საინტერესოა, გავიხსენით ქამთაღმწერელის მონათხრობი და შევედაროთ იგი ნ. გრიგორასის მონათხრობს:

გიორგი ლაშა „მიდრკა სიბოროტედ უწყსოთა კაცთათა... ვითარცა წერილ არს ისრაელთათვის „დასხდა ერი იგი ჰამად და სმად და აღდგეს სიმღერად“. ხოლო სმამან მღერსა და სილოდასა... უმეტეს გარდარია, განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწაველნი, შეიყუარნა თანამოჰასაკენი, მოსმურობათა... იყო ესე ლაშა გიორგი... სახიობის მოყვარე...“ (ქართ. ცხ., II, გვ. 154, 155, 156). „რუსუდან ჩვეულებითა წესსა ძმისა თვისისასა ვილო-

და განცხრომითა და სიმღერითა“ (იქვე, გვ. 168). ტრაპიზონის მეფე მიხეილს ძე „ანგარიშს არ უწევდა ძველი სხოლარიების შეხედულებებს, ამჯობინებდა თავის ტოლებთან ურთიერთობას და მათი მონაწილეობით ფარულ ამხანაგობას ადგენდა, დროს ატარებდა მათთან ერთად, ნადიმებსა და ქეიფში მეგზუნე (თუ მენესტე) და მროკავ ქალთა წრეში სიამოვნებას არ იკლებდა და ტრაპეზუნტელთა სამეფოს სალაროს თანხებს ანიავებდა“ (გეორგიკა, VII, გვ. 151).

მაშასადამე, XIII—XIV საუკუნეებში ტრაპიზონელი მეფის სასახლის კარზე სახიობა ისეთივე სიყვარულით სარგებლობს, როგორც საქართველოში. ქრისტიან-კლერიკალ ავტორების სტრიქონებს თუ კარგად დავაკვირდებით, ტრაპიზონის სამეფოშიც, ისევე

როგორც საქართველოში, სანახაობრივი კულტურა — სახიობა დიდად ყოფილა განვითარებული და იგი მეფეების მხარდაჭერით და მფარველობით სარგებლობდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ტრაპიზონში — სამეფოს დედაქალაქში თბილისიდან, კონსტანტინოპოლიდან და მსოფლიოს სხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან ჩადიოდნენ სანახაობრივი დასები. ასევე თბილისში თუ ქუთაისში ტრაპიზონის სამეფოდან, სხვადასხვა საზეიმო შემთხვევათა გამო, ჩამოდიოდნენ სანახაობრივი დასები, ტრაპიზონელი მოსტვინარე და პროკველი ქალები.

ღიმიტრი II თავდადებული — „დალათუ ჯერეთ ყრმა იყო, არამედ ინებეს და წარავლინეს კაცი პონტოდ მეფისა ბერძენთასა კომნიანოსისა, რომელი იყო ნათესავი დიდისა კოსტანტინესა, და მოიყვანეს ასული კომნიანოსისა, მეფისა ტრაპიზონელისა, დიდებითა და საჭურჭლითა დიდითა და ქმნეს ქორწილი სამეფოსა წესისაჲსაჲსაჲ“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 274). სასახლის კარის გარიგებით, ასეთი ქორწილი გულისხმობდა დიდი სანახაობების მოწყობას და, ცხადია, რომ აქ არა მარტო საქართველოს სამეფოს, არამედ საგულისხმებელია, რომ ტრაპიზონის სანახაობრივი დასიც მონაწილეობას მიიღებდა. ქართველი ტომებით დასახლებული საკეისრო ქართული კულტურული სამყაროს ღვიძლ ნაწილს შეადგენდა და დედა-სამშობლოსთან საერთო სულიერი ცხოვრებით და ინტერესებით ცოცხლობდა.